

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე,
მოქალაქე ელიზა ჟღერისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ელიზა ჟღერის განცხადების (2014 წ. 01.09.Nყ-6927), თანახმად, ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ელიზა ჟღერის / 3/ნ N60001002775/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე, საერთო ფართობი 61,21 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ. დამხმარე ფართობი 25,21 კვ.მ. მოქალაქე ელიზა ჟღერის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნოდარ მიქიაშვილი